

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა

## 1. პრეამბულა

1994 წლის 21 აპრილს საქართველომ მოახდინა „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება და ამგვარად იკისრა პასუხისმგებლობა შეინარჩუნოს ქვეყნის ბიომრავალფეროვნება, რომელიც ამასთანავე მსოფლიოს ბიოლოგიური მემკვიდრეობის უნიკალური ნაწილია.

კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ თითოეულ მხარე-ქვეყანას ავლდებულებს – შესაბამისი ეროვნული დოკუმენტის შემუშავებას, რომელმაც უნდა განსაზღვროს ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა. ამგვარი დოკუმენტის არსებობა ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და გონივრული მართვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად არის აღიარებული.

2005 წლის 19 თებერვალს „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის მოთხოვნათა შესრულების მიზნით საქართველოს მთავრობამ №27 დადგენილებით დაამტკიცდა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ფონდ „ნაკრესი“-ს მიერ მომზადებული დოკუმენტი – „საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა“.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიიდან და მოქმედებათა გეგმიდან წარმოშობილი რეგიონისათვის სახასიათო – კონკრეტული და სპეციფიური საკითხების გადაწყვეტის მიზნით შემუშავდა წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (შემდგომში აჭარის) ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიას მომდევნო 10 წლის (2008-2018 წ.), ხოლო მოქმედებათა გეგმას – მომდევნო 5 წლის (2008-2013 წ.) მანძილზე, რადგან ხუთი წლის შემდეგ კონკრეტული სიტუაციისა და იმ დროისათვის მიღწეული შედეგების გათვალისწინებით საჭირო შეიქმნება ახალი დოკუმენტის შემუშავება.

## 2. პრობლემები

ისტორიული ასპექტების და ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით განისაზღვრა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სფეროში არსებული პრობლემები:

- 1 ჰაბიტატების დეგრადაცია და მოდიფიკაცია, ბიომრავალფეროვნების გაღარიბება;
- 2 უცნობია ან დაზუსტებას საჭიროებს აჭარის ტერიტორიაზე არსებული სახეობების უმეტესობის კონსერვაციული სატატუსი, არარსებობს ფლორისა და ფაუნის საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმები;
- 3 არასრულადაა შეფასებული ინვაზიურ სახეობების ზეგავლენა ადგილობრივ სახეობებსა და ეკოსისტემებზე;
- 4 დაუდგენელია კომერციული მნიშვნელობის მქონე სახეობების ბუნებაში მოპოვების კვოტები;
- 5 არ არის განხორციელებული საძოვრების პასპორტიზაცია, მათი რაციონალური დატვირთვის დონის განსაზღვრის მიზნით, ვინაიდან აღპური მდელოების ზეჭარბი გამოყენების გამო თითქმის ყველგან ადგილი აქვს მცენარეული საფარის დეგრადაციას;
- 6 არ შეფასებულა ჭოროხის დარეგულირების (თურქეთის რესპუბლიკაში აგებული კაშხლებით) ზეგავლენა მდინარის აუზის ბიომრავალფეროვნებაზე (საქართველოს ფარგლებში);

- 7 არასაკმარისია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მიმდინარე ex-situ კონსერვაციული ღონისძიებები, არარსებობს საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეთა სახეობების სხვა ex-situ კონსერვაციის ცენტრები, არარსებობს საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველთა სახეობების ex-situ კონსერვაციის ცენტრები;
- 8 არალეგალური ნადირობა, ბაზიერების მიერ მტაცებელ ფრინველთა მოპოვება, არალეგალური თევზჭერა, ზღვის ძუძუმწოვრების თანჭერილი;
- 9 ბუნებათმოსარგებლეთა უმრავლესობა არასაკმარისად იცნობს შესაბამის (ნადირობის, თევზჭერის, ტყითსარგებლობის და სხვა) მარეგულირებელ პროცედურებსა და წესებს;
- 10 აჭარისწყლის და მაჭახლისწყლის ჰიდროელექტრო სადგური, მდ. ლეჩას, ჩაქვისწყლის და ყოროლისწყლის სათავე ნაგებობები არაა აღჭურვილი თევზსავალი და ეფექტური თევზამრედი კონსტრუქციებით, ნახერხი მასალის მდინარის პირებზე დაყრა - რაც დიდ ზიანს აყენებს მდინარეთა იქთიოფაუნას;
- 11 მერქნული და სხვა მცენარეული რესურსების არალეგალური მოპოვება, CITES - ის კონვენციის (კონვენცია “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ”) სახეობების (თეთრყვავილას და ყოჩივარდას) ბუნებაში შეგროვება;
- 12 არ წარმოებულა ტყის ფონდის სრული ინვენტარიზაცია და მისი აგრო-ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების დეტალური ანალიზი, არაა შემუშავებული ადგილობრივი ტყის რესურსების მართვისა და შესაბამისად მდგრადი სატყეო მეურნეობის გაძღოლის ინტეგრირებული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა;
- 13 პირუტყვის დაურეგულირებული ძოვება მეტად მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ალპური მდელოების ბიომრავალფეროვნებას და ტყეების ბუნებრივი განახლების პროცესს;
- 14 მეტად არასაკმარისია ტყის აღდგენა-გაშენების, ბუნებრივი განახლების ხელშემწყობის და ტყის მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოთა მასშტაბები, არ მიმდინარეობს ტყეებში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- 15 ტყის ჭრის ადგილებზე დარჩენილი ძირნაყარი მასალა მნიშვნელოვნად აუარესებს ტყის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას;
- 16 მაღალი ეკოლოგიური ღირებულების მქონე გადაბერებული ტყის კორომები მიჩნეულია მერქნული რესურსების მიღების ერთ-ერთ ყველაზე უფრო ხელმისაწვდომ წყაროდ, მაშინ როდესაც ეს კორომები უმნიშვნელოვანესია ტყის ეკოსისტემების შენარჩუნების თვალსაზრისით;
- 17 არარსებობს მტირალას ეროვნული პარკის და კინტრიშს სახელმწიფო ნაკრძალის მენეჯმენტის გეგმები;
- 18 არარის დადგენილი მტირალას ეროვნული პარკის, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის და ქობულეთის ადკვეთილის დამხმარე (ბუფერული) ზონები;
- 19 კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის მკაცრი რეჟიმი ეწინააღმდეგება მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის სოციო-ეკონომიურ ინტერესებს და ეკოტურიზმის განვითარებას;
- 20 არასაკმარისია საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობების in-situ კონსერვაცია – არარსებობს დაცული ტერიტორიები ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვან ადგილებში (შავი ზღვის აკვატორია, სანაპირო ზოლი, ზემო აჭარა, მდინარე მაჭახლისწყლის აუზი, ჭოროხის დელტა, ქობულეთის სატყეო მეურნეობის თიკერის უბანი); არ მიმდინარეობს ბუნების თავისებურებების კონსერვაცია – მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიების (ბუნების ძეგლების) დაცვა;
- 21 დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობა, რიგ ადგილებში სოციო-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ინტერესების კონფლიქტი;
- 22 ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი მიმდინარეობს არასრულად, არაკორდინირებულად და არათავსებადი მეთოდური საფუძვლებით;

- 23 არარსებობს მონაცემთა ერთიანი კომპიუტერული ბაზა ბიომრავალფეროვნების შესახებ;
- 24 მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების და მონაწილეობის დაბალი დონე;
- 25 მასმედის საშუალებების დაბალი ინტერესი გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ;
- 26 ბიომრავალფეროვნების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების სისუსტე;
- 27 გარემოსდაცვით სფეროში მომუშავე პროფესიონალი კადრების სიმცირე;
- 28 ძალზედ მწირია ეკოტურიზმით მოსარგებლეთა რაოდენობა და შესაბამისი აქტივობების ეკონომიკური ეფექტი.

### 3. სტრატეგია

ზემოთ აღნიშნული პრობლემები დაჯგუფებდა სტრატეგიულ კომპონენტებად – დაისახა სტრატეგიული მიზნები და ამოცანები:

ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი მ ი ზ ნ ე ბ ი	ა მ ო ც ა ნ ე ბ ი
1. სახეობების და ჰაბიტატების მარავლფეროვნების შენარჩუნება, აღდგენა და გონივრული მართვა	<ul style="list-style-type: none"> <li>1. სახეობისა და ჰაბიტატების ამუამინდელი მდგომარეობის შეფასება, კონსერვაციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;</li> <li>2. ტყის ფონდის ინვენტარიზაცია;</li> <li>3. ტყისდაცვითი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;</li> <li>4. ბუნებათმოსარგებლეების გათვიცნობიერება შესაბამის მარეგულირებელ პროცედურებსა და წესებში;</li> <li>5. ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში მოღვაწე კადრების მომზადება.</li> </ul>
2. დაცული ტერიტორიების განვითარება და გაფართოება	<ul style="list-style-type: none"> <li>1. არსებული დაცული ტერიტორიების ეფექტურობის ზრდა, შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღება-ცვლილების გზით;</li> <li>2. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვან ადგილებში ახალი დაცული ტერიტორიების შექმნა;</li> <li>3. დაცული ტერიტორიების პერსონალის მომზადება;</li> <li>4. ადგილობრივი მოსახლეობის გათვიცნობიერება დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის, საზღვრების, რეჟიმის და მიმდინარე პროექტების შესახებ.</li> </ul>
3. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გამართვა	<ul style="list-style-type: none"> <li>1. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ჯგუფის ჩამოყალიბება;</li> <li>2. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის წარმართვა წინასწარ განსაზღვრული მეთოდის და ობიექტების მიხედვით;</li> <li>3. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მწარმოებელი უწყებების გაძლიერება;</li> <li>4. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</li> </ul>
4. საზოგადოების ცნობიერებისა და მონაწილეობის ზრდა	<ul style="list-style-type: none"> <li>1. გარემოსდაცვითი იდეების პროპაგანდის გაძლიერება;</li> <li>2. სასწავლო დაწესებულებებში ეკოლოგიური</li> </ul>

	განათლების დონის ზრდა; 3. ადგილობრივი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერება.
5. ეკოტურიზმის განვითარება (ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მიმართულებების)	1. ეკოტურისტული სახელმძღვანელოების მომზადება; 2. პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება; 3. ეკოტურიზმის რეკლამირება.

#### 4. მოქმედებათა გეგმა

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტის მიზნით შემუშავდა მოქმედებათა კონკრეტული გეგმა. დაგეგმილი მოქმედებები წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილში მოცემულია:

- N – ნუმერაცია – პირველი რიცხვი აღნიშნავს სტრატეგიული მიზნის ნომერს, ხოლო მეორე - სტრატეგიული ამოცანის ნომერს (იხ. 3. სტრატეგია), მესამე რიცხვი აღნიშნავს მოქმედების ნომერს;
- მოქმედება – მოქმედების არსი;
- შესაბამისი პრობლემა – მითითებულია პრობლემის ნომერი, რომლის გადაჭრასაც ემსახურება მოცემული მოქმედება (იხ. 2. პრობლემები);
- განხორციელების წლები – მითითებულია მოქმედების განხორციელების სავარაუდო ვადა გეგმის 2008 წლიდან – 2013 წლამდე მოქმედების პერიოდში;
- ბიუჯეტი – მოცემულია მოქმედების სავარაუდო ბიუჯეტი შემდეგი სახით: მცირე - 50 000 ლარამდე, საშუალო - 50 000-დან - 250 000 ლარამდე და მაღალი - 250 000 ლარზე მეტი.
- ინდიკატორი - მოსალოდნელი შედეგი – თითოეულ მოქმედებას აქვს თავისი ინდიკატორი ან მოსალოდნელი შედეგი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შეფასდეს მოცემული მოქმედების განხორციელების წარმატებულობა.

N	მ ო ქ მ ე დ ე ბ ა	შესაბამისი პრობლემა	განხორციელების წლები	ბიუჯეტი	ი ნ დ ი კ ა ტ ო რ ი (მოსალოდნელი შედეგი)
1.1.1	მცენარეთა და ცხოველთა სახეობების ინვენტარიზაცია და მათი კონსერვაციული სტატუსების განსაზღვრა - ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) კატეგორიებისა და მეთოდის მიხედვით	2	2008-2013	მაღალი	განსაზღვრულია კონსერვაციული სტატუსები საფრთხეში მყოფი სახეობების (წინასწარი მონაცემებით) მინიმუმ 75 % – სათვის
1.1.2	ზუთისებრთა კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების დაწყება	1,2	2008-2013	მაღალი	შემუშავებულია და მოწონებულია ზუთისებრთა კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმა, დაწყებულია ამ გეგმით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება
1.1.3	კალმახ-ორაგულის კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების დაწყება	1,2	2008-2013	საშუალო	შემუშავებულია და მოწონებულია კალმახ-ორაგული კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმა, დაწყებულია ამ გეგმით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება
1.1.4	ზღვის ძუძუმწოვრების კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების დაწყება	1,2	2008-2013	საშუალო	შემუშავებულია და მოწონებულია ზღვის ძუძუმწოვრების კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმა, დაწყებულია ამ გეგმით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება
1.1.5	კავკასიური სალამანდრას კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება და მისი	1,2	2008-2013	საშუალო	შემუშავებულია და მოწონებულია კავკასიური სალამანდრას კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმა,

	განხორციელების დაწყება				დაწყებულია ამ გეგმით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება
1.1.6	გადამფრენ მტაცებელ ფრინველთა კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების დაწყება	1,2	2008-2013	საშუალო	შემუშავებულია და მოწონებულია გადამფრენ მტაცებელ ფრინველთა კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმა, დაწყებულია ამ გეგმით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება
1.1.7	ზემოთხსენებული სახეობების გარდა, სხვა კონსერვაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სახეობების კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმების შემუშავება და დანერგვის ინიცირება	1,2	2008-2013	მაღალი	დაწყებულია კონსერვაციული ღონისძიებების განხორციელება ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სახეობების სულ ცოტა 20% სათვის
1.1.8	ინვაზიური სახეობების (რაპანას, კეფალ-პილენგასის, გრაკლას, ამბროზიას, აღმოსავლეთ აზიური მატიტელას, ეულალიას და პავლონიას) ზეგავლენის შეფასება, ინვაზიის განვითარების პროგნოზი, ინვაზიის ნეგატიური ზეგავლენის შემცირების სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება	3	2008-2010	საშუალო	შეფასებულია ინვაზიურ სახეობების – რაპანას, კეფალ-პილენგასის, გრაკლას, ამბროზიას, აღმოსავლეთ აზიური მატიტელას, ეულალიას და პავლონიას ზეგავლენა, გაკეთებულია ინვაზიის განვითარების პროგნოზი, შემუშავებულია ინვაზიის ნეგატიური ზეგავლენის შემცირების სარეკომენდაციო წინადადებები
1.1.9	კომერციული მნიშვნელობის მქონე სახეობის ბუნებაში მოპოვების კვოტების დადგენა და შესაბამისი წინადადებების წარდგენა	4	2008-2013	საშუალო	დადგენილი კომერციული მნიშვნელობის მქონე ყველა ძირითადი სახეობის ბუნებაში მოპოვების კვოტები

					(მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგნოზი), ანგარიში წარდგენილია შესაბამის უწყებებში
1.1.10	საძოვრების პასპორტიზაცია, მათი რაციონალური დატვირთვის დონის განსაზღვრა	5	2008-2011	საშუალო	განხორციელებულია საძოვრების პასპორტიზაცია, განსაზღვრულია მათი რაციონალური დატვირთვის დონე
1.1.11	ჭოროხის დარეგულირების (თურქეთის რესპუბლიკაში აგებული კაშხლებით) ზეგავლენის შეფასება მდინარის აუზის ბიომრავალფეროვნებაზე (საქართველოს ფარგლებში)	6	2008-2010	საშუალო	შეფასებულია ჭოროხის დარეგულირების ზეგავლენა მდინარის აუზის ბიომრავალფეროვნებაზე
1.1.12	კალმახ-ორაგულის რესტოკინგი	1,7	2008-2013	საშუალო	აჭარის მდინარეები დათეზიანებულია კალმახ-ორაგულის მინიმუმ 100 000 ლიფსიტით
1.1.13	ზუთხისებრთა ex-situ კონსერვაციის ცენტრის შექმნა	7	2008-2010	საშუალო	ხელოვნურ პირობებში დაცულია ზუთხისებრთა სახეობების გენოფონდი, შემდგომში მათი ბუნებაში აღდგენის მიზნით
1.1.14	ლოკალური გავრცელების არელების მქონე ენდემური და „საქართველოს წითელი ნუსხის“ მცენარეთა სახეობების ეხ-სიტუ კონსერვაციის ცენტრის შექმნა	7	2008-2010	საშუალო	ხელოვნურ პირობებში დაცულია საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეთა სახეობების მინიმუმ 20 %-ის გენოფონდი
1.1.15	ენდემური, რელიქტური და „საქართველოს წითელი ნუსხის“ მცენარეთა სახეობების გათვალისწინება გამწვანების	7	2008-2013	მცირე	ენდემური, რელიქტური და „საქართველოს წითელი ნუსხის“ მცენარეთა სახეობები დანერგილია „მწვანე

	სახელმწიფო პროგრამების სატენდერო პირობებში, აღნიშნულ მცენარეთა მომრავლების შესახებ ბუკლეტების მომზადება და გავრცელება				მშენებლობაში
1.1.16	აჭარის „წითელი ნუსხის“ მომზადება, „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა პროექტის მომზადება და წარდგენა	1	2008-2009	მცირე	დამტკიცებულია აჭარის „წითელი ნუსხა“
1.2.17	ადგილობრივი ტყის ფონდის სრული ინვენტარიზაცია, მისი აგრო-ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების დეტალური ანალიზი - იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც აუარესებდნენ ან ახლაც აუარესებენ ტყეების საერთო ფუნქციონალურ დანიშნულებას და ძირეულ ეკოლოგიურ ფუნქციებს	12	2008-2010	მაღალი	სრულადაა ინვენტარიზებული ადგილობრივი ტყის ფონდი, გამოვლენილია ყველა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც აუარესებდნენ ან ახლაც აუარესებენ ტყეების საერთო ფუნქციონალურ დანიშნულებას და ძირეულ ეკოლოგიურ ფუნქციებს
1.3.18	ადგილობრივი ტყის რესურსების მართვისა და შესაბამისად მდგრადი სატყეო მეურნეობის გაძღოლის ინტეგრირებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება	12,16	2010-2011	მცირე	შემუშავებულია ადგილობრივი ტყის რესურსების მართვისა და შესაბამისად მდგრადი სატყეო მეურნეობის გაძღოლის ინტეგრირებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
1.3.19	მესაქონლეობით დაკავებულ ოჯახებში ბიოგაზის დანადგარების დანერგვის საპილოტე პროგრამის განხორციელება	13	2008-2010	საშუალო	მესაქონლეობით დაკავებულ 200 ოჯახს გადაეცათ და დაუმონტაჟდათ ბიოგაზის დანადგარი, ჩაუტარდათ შესაბამისი სწავლება დანადგარის

					ექსპლუატაციასთან დაკავშირებით
1.3.20	ბიოგაზის პოპულარიზაცია	13	2008-2013	მცირე	მომზადებულია და გავრცელებულია შესაბამისი პუბლიკაციები და ვიდეომასალები
1.3.21	ტყის აღდგენა-გაშენების, ბუნებრივი განახლების ხელშემწყობის და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება	14	2008-2013	მაღალი	განხორციელებულია ტყის აღდგენა-გაშენების, ბუნებრივი განახლების ხელშემწყობის და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები მინიმუმ 800 ჰექტარ ფართობზე
1.3.22	ტყის მავნებელ-დაავადებათა (მბეჭდავი ქერქიჭამია, ლაფანჭამია, ამერიკული პეპელა და ენდოთოიდური კიბო) მდგომარეობის შეფასება, მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება	14	2008-2013	მაღალი	შეფასებულია მბეჭდავი ქერქიჭამიას, ლაფანჭამიას ამერიკული პეპელას და ენდოთოიდური კიბოს მდგომარეობა და განხორციელებულია მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები მინიმუმ 1600 ჰექტარ ფართობზე
1.3.23	ეკოლოგიური და ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ტყის ჭრის ადგილებზე დარჩენილი ძირნაყარი მასალის გამოტანა	15	2008-2009	საშუალო	საშეშე და სამასალე მერქნით უზრუნველყოფის საქმეში ჩართულია ძირნაყარი მასალაც
1.4.24	ბუნებათმოსარგებლების გათვიცნობიერება შესაბამის მარეგულირებელ პროცედურებსა და წესებში	8,9,11	2008-2013	საშუალო	მომზადებულია და გავრცელებულია შესაბამისი ბეჭდვითი და ელექტრონული მასალა
1.5.25	გარემოსდაცვითი სახელმწიფო სტრუქტურების ტრენინგი ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხებში	8,10,11,27	2008-2013	საშუალო	გამართულია გარემოსდაცვითი სახელმწიფო სტრუქტურების მინიმუმ 3 ტრენინგი
2.1.26	მტირალას ეროვნული პარკის	17,18	2008-2009	საშუალო	დამტკიცებულია მტირალას

	მენეჯმენტის გეგმის და დამხმარე (ბუფერული) ზონის პროგრამის შემუშავება და წარდგენა				ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა, დამხმარე (ბუფერული) ზონა და მისი პროგრამა
2.1.27	ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის და ქობულეთის აღკვეთილის დამხმარე (ბუფერული) ზონის პროგრამის შემუშავება (ბრინჯაოს ხანის ტორფქვეშა ნამოსახლარ „ისპანი“-ს, „ფიჭვნარი“-ს ანტიკური ნაქალაქარისა და „ნამჭედური“-ს ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის გათვალისწინებით) და წარდგენა	18,28	2008-2009	მცირე	დამტკიცებულია ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის და ქობულეთის აღკვეთილის დამხმარე (ბუფერული) ზონა და მისი პროგრამა, მიმდებარედ არსებული ბრინჯაოს ხანისა და ანტიკური ეპოქების ძეგლთა დამხმარე (ბუფერული) ზონაში მოქცევით გაზრდილია დაცული ტერიტორიის მონახულების მიმართ ინტერესი
2.1.28	კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის ბაზაზე კინტრიშის ეროვნული პარკის დაარსების მიზნით შესაბამისი კანონპროექტის და მენეჯმენტის გეგმის სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება და წარდგენა	19,28	2008-2009	საშუალო	დაარსებულია კინტრიშის ეროვნული პარკი, დამტკიცებულია მენეჯმენტის გეგმა
2.2.29	ქობულეთის სატყეო მეურნეობის თიკერის უბანზე (რელიქტური კოლხური ტყის ფრაგმენტი) დაცული ტერიტორიის დაარსების მიზნით შესაბამისი კანონპროექტის და მენეჯმენტის გეგმის სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება და წარდგენა	1,20	2008-2010	მცირე	დაარსებულია კოლხეთის ეროვნული პარკის თიკერის „აღდგენის ზონა“, დამტკიცებულია მისი მენეჯმენტის გეგმა
2.2.30	ჭოროხის დელტაზე (ჭარბტენიანი ეკოსისტემა), ასევე მიმდებარე	1,20	2008-2009	მცირე	ჭოროხის დელტაზე დაარსებულია დაცული ტერიტორია და

	საზღვაო აკვატორიასა და სანაპიროს ზოლში დაცული ტერიტორიის დაარსების მიზნით შესაბამისი კანონპროექტის და მენეჯმენტის გეგმის სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება და წარდგენა				დამტკიცებულია მისი მენეჯმენტის გეგმა
2.2.31	მდინარე მაჭახლისწყლის აუზში დაცული ტერიტორიის დაარსებისათვის შესაბამისი კანონპროექტის და მენეჯმენტის გეგმის სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება (მდინარე მაჭახლისწყლის აუზის თურქულ ნაწილში, საქართველოსთან მოსაზღვრედ არსებულ ჯამილეს ბიოსფერულ რეზერვატთან ტრანსსაზღვრო დაცული ტერიტორიის მოწყობაზე აქცენტით) და წარდგენა	1,20	2008-2010	საშუალო	მდინარე მაჭახლისწყლის აუზში დაარსებულია დაცული ტერიტორია და დამტკიცებულია მისი მენეჯმენტის გეგმა
2.2.32	ზემო აჭარაში მაღალი კონსერვაციული ღირებულებების მქონე ტერიტორიული ფრაგმენტების გამოვლენა და მათთვის დაცული ტერიტორიის სტატუსის მინიჭების მიზნით შესაბამისი კანონპროექტების და მენეჯმენტის გეგმის სახელმძღვანელო დოკუმენტების მომზადება და წარდგენა	1,20	2008-2013	საშუალო	ზემო აჭარაში დაარსებულია დაცული ტერიტორია(ები)
2.2.33	ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნების ცოცხალი და		2008-2009	მცირე	დამტკიცებულია აჭარის არ კანონი “ადგილობრივი

	არაცოცხალი ძეგლების შერჩევა, მათი პასპორტიზაცია, მენეჯმენტის გეგმის შემუშავება, აჭარის არკანონპროექტის მომზადება “ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნების ცოცხალი და არაცოცხალი ძეგლების შესახებ” და წარდგენა	1,20			მნიშვნელობის ბუნების ცოცხალი და არაცოცხალი ძეგლების შესახებ” და მათი მენეჯმენტის გეგმა
2.3.34	დაცული ტერიტორიების პერსონალის ტრენინგი	21	2008-2013	მცირე	გამართულია დაცული ტერიტორიების პერსონალის მინიმუმ 2 ტრენინგი
2.4.35	ადგილობრივი მოსახლეობის გათვინციობიერება დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის, საზღვრების, რეჟიმის და მიმდინარე პროექტების შესახებ	21,24	2008-20013	საშუალო	მომზადებულია და გავრცელებულია შესაბამისი პუბლიკაციები და ვიდეომასალები
3.1.36	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პასუხისმგებელი და განმასხორციელებელი ორგანიზაციების (სამთავრობო და არასამთავრობო) განსაზღვრა	22	2008-2009	მცირე	მიღებულია შესაბამისი ნორმატიული აქტი, იმართება
3.1.37	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ჯგუფის ჩამოყალიბება, ჯგუფის სტატუსის, შემადგენლობის და ფუნქციების განსაზღვრა	22	2008-2009	მცირე	ჯგუფის სამუშაო შეხვედრები წელიწადში მინიმუმ 4 ჯერ
3.2.38	ბიომრავალფეროვნების შესახებ დღემდე დაგროვილი ინფორმაციების ინვენტარიზაცია	22	2008-2009	მცირე	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი მიმდინარეობს უნიფიცირებული მეთოდითა და წინასწარ განსაზღვრული
3.2.39	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის წარმოების	22	2008-2013	მცირე	ბიომრავალფეროვნების კომპონენტების (კოკრეტული სახეობებისა და ჰაბიტატების)

	მონიტორინგის სამიზნე ობიექტების განსაზღვრა				მიხედვით
3.2.40	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის წარმართვა წინასწარ განსაზღვრული მეთოდის და ობიექტების მიხედვით	22	2009-2013	საშუალო	
3.3.41	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სფეროში მომუშავე და სხვა დაინტერესებული პირების ტრენინგები ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის თეორიული და პრაქტიკული საკითხების, ასევე GIS შესახებ	22,26,27	2008-2013	საშუალო	ჩატარებულია ტრენინგები და სასწავლო ტურები - წელიწადში მინიმუმ ერთხელ
3.3.42	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მწარმოებელი ორგანიზაციების ტექნიკური აღჭურვა	22,26	2009-2013	საშუალო	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მწარმოებელი ორგანიზაციებისათვის შექმნილია ტექნიკური აღჭურვილობა
3.4.43	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზის შექმნა	23	2009-2013	საშუალო	შექმნილია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზა, მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია მომხმარებელთათვის ინტერნეტის საშუალებით
4.1.44	პოპულარული და სამეცნიერო პუბლიკაციების და ვიდეომასალების მომზადება	24,27	2008-2013	საშუალო	მომზადებულია პოპულარული და სამეცნიერო პუბლიკაციები, ადგილობრივი ტელეარხების საშუალებით ნაჩვენებია მინიმუმ 10 ვიდეომასალა
4.1.45	ბიომრავალფეროვნების შესახებ	24	2008-2009	მცირე	ინტერნეტში განთავსებულია ვებ-

	გებ-გვერდის მომზადება				გვერდი ბიომრავალფეროვნების შესახებ
4.1.46	ეკოლოგიური პერიოდული გამოცემის (გაზეთის/ჟურნალის) დაარსება	24,25	2008-2013	საშუალო	გამოიცემა მინიმუმ ერთი ეკოლოგიური გაზეთი/ჟურნალი
4.1.47	სატელევიზიო გადაცემის გაკეთება	24,25	2008-2013	საშუალო	ადგილობრივი ტელევიზიის ეთერში გადის ეკოლოგიური სატელევიზიო გადაცემა
4.1.48	მცირე ეკოლოგიური ბიბლიოთეკის და ვიდეოთეკის შექმნა	24	2009-2013	საშუალო	ფუნქციონირებს მცირე ეკოლოგიური ბიბლიოთეკა და ვიდეოთეკა
4.1.49	სოციოლოგიური კვლევების მოწოდება მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების შეფასების მიზნით	24	2008-2013	მცირე	შესწავლილია და გაანალიზებული თუ რა მოცულობისა და რა სახის სამუშაოებია შესასრულებელი მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით
4.1.50	სანახაობრივი ღონისძიებების (ვიქტორინები, გამოფენები, ფილმების ჩვენება და სხვა) ორგანიზება	24	2009-2013	საშუალო	ყოველწლიურად ხორციელდება სანახაობრივი ღონისძიებები
4.1.51	საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება, არასამთავრობო ორგანიზაციების და ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით	24	2008-2013	საშუალო	წელიწადში მოეწყო მინიმუმ ორი კამპანია
4.1.52	მედიატორების ორგანიზება ადგილზე ჟურნალისტების ინფორმირების და დაინტერესების მიზნით	25	2008-2013	საშუალო	წელიწადში მინიმუმ ერთხელ ცენტრალური და რეგიონალური მასმედიის საშუალებებისათვის მოეწყო მედიატორი
4.2.53	ეკობანაკების და საზაფხულო სკოლების მოწოდება	24	2009-2013	საშუალო	მოწოდებულია მინიმუმ ერთი ეკობანაკი/ საზაფხულო სკოლა

	მოსწავლეთათვის და სტუდენტებისთვის				
4.2.54	სკოლებში ეკოლოგიური წრეების ჩამოყალიბება	24	2009-2013	საშუალო	რამდენიმე სკოლაში ჩამოყალიბებულია ეკოლოგიური წრე, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ლიტერატურა და აღჭურვილობა (პილოტ-პროექტი)
4.2.55	სკოლის მასწავლებლებისათვის გარემოსდაცვითი კურსების ორგანიზება	24	2009-2013	საშუალო	გადამზადებულია შესაბამისი პროფილის პედაგოგთა მინიმუმ 1/4
4.3.56	ადგილობრივი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ტრენინგი „ფანდრაიზინგის“, პროექტების მომზადების და მართვის საკითხებში	26	2008-2009	მცირე	გამართულია ადგილობრივი არასამთავრო ორგანიზაციებისათვის მინიმუმ ორი ტრენინგი
5.1.57	სახელმძღვანელოების მომზადება წყალქვეშა ტურიზმის (დაივინგის), ზღვის ძუძუმწოვრებზე (ჩვეულებრივი ანუ თეთრგვერდა დელფინი და ზღვის ღორი) დაკვირვების, სათევზაო ტურიზმის და ბერდვოჩინგის (ფრივინგებზე დაკვირვების) შესახებ	28	2008-2010	საშუალო	მომზადებული და გავრცელებულია მინიმუმ 4 სახელმძღვანელო
5.2.58	ხელოვნური რიფების მოწყობა – დაივინგის განვითარების მიზნით	28	2008-2010	მაღალი	მოწყობილია მინიმუმ ერთი წყალქვეშა ხელოვნური რიფი ფართობით არანაკლებ – 50 მ -სა
5.2.59	მტაცებელ ფრინველთა აღმოსავლეთ შავი ზღვის სამიგრაციო მარშრუტის – „ბათუმის ორნითოლოგიურ ძაბრში“, ჭოროხის დელტასა და სხვა უბნებზე ბერდვოჩინგის განვითარების და	22,28	2008-2010	დაბალი	მოწყობილია მინიმუმ ოთხი სადამკვირებლო პუნქტი

	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მიზნით ფრინველებზე დაკვირვების პუნქტების მოწეობა				
5.3.60	არსებულ და პოტენციურ ბაზრებზე ორიენტირებული ეკოტურისტული სარეკლამო მასალების შექმნა და გავრცელება	28	2008-2013	საშუალო	ეკოტურიზმის პოპულარიზების მიზნით მომზადებულია და გავრცელებულია შესაბამისი პუბლიკაციები და ვიდეომასალები, აღნიშნული მასალები წარმოდგენილია ბაზრის ფარგლებში შერჩეულ ტურიზმის სავაჭრო და სამომხმარებლო გამოფენებზე

ტერმინთა განმარტებები

1. აღდგენის ზონა – ეროვნული პარკის ერთერთი ზონა, რომლის მიზანია ანთროპოგენური ჩარევით დაზიანებული ბუნების დაცვა და აღდგენა;
2. აღკვეთილი – დაცული ტერიტორიების კატეგორია, რომლის მიზანია ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით. აღკვეთილში დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსების მოხმარება;
3. ბიომრავალფეროვნება (ბიოლოგიური მრავალფეროვნება) – პოპულაციების, სახეობების, ჰაბიტატების და ეკოსისტემების სიმრავლე ათვლის რაიმე ერთეულში (მაგ. რომელიმე რეგიონი, ზღვა, ტბა, მდინარე და მისთ.);
4. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი – ბიომრავალფეროვნების მდგომარეობაზე დაკვირვების, მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და პროგნოზირების სისტემა;
5. ბუნების ძეგლი – დაცული ტერიტორიების კატეგორია, რომლის მიზანია მცირე უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიების, იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების დაცვა;
6. დამხმარე (ბუფერული) ზონა – დამხმარე (ბუფერული) ზონა იქმნება დაცული ტერიტორიის გარშემო, საჭიროებისამებრ და მისი დანიშნულებაა ბუნების დაცვისა და მდგრადი განვითარების ბალანსირებული საქმიანობის ხელშემწყობი და ადგილობრივი ფინანსური სახსრების გენერირების ღონისძიებების გატარება;
7. დაცული ტერიტორია – ბიომრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში ჩართული კულტურული ობიექტების კონსერვაციის მიზნით განსაზღვრული განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორია და (ან) აკვატორია, რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან და მყარ სამართლებრივ საფუძველებზე. დაცული ტერიტორიის კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი და სხვა;
8. დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმა – განსაზღვრავს დაცული ტერიტორიის დაზუსტებულ საზღვრებს, ზონებს, მათ ტერიტორიულ ორგანიზაციას, დაცვის, მეცნიერული კვლევისა და მონიტორინგის, განათლების, რეკრეაციის, ტურიზმის, ადმინისტრაციისა და სხვა საქმიანობის ინტეგრალური განვითარების პროგრამას;
9. ეკოსისტემა – ტერიტორიის განსაზღვრულ მონაკვეთზე ცოცხალი ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთდამოკუთმებულიებით წარმოქმნილი სპეციფიური ბუნებრივი კომპლექსი;
10. ეკოტურიზმი – ტურიზმის ერთერთი სახეობა, რომელიც გულისხმობს ბუნების მიმზიდველი ხედების, ფლორისა და ფაუნის მიმართ ინტერესს, ეკოტურიზმის მიამართულებებია: წყალქვეშა ტურიზმი (დაივინგი), ბერდვოჩინგი (ფრივინგებზე დაკვირვება), ზღვის ძუძუმწოვრებზე დაკვირვება, სათევზაო ტურიზმი და სხვა;
11. ეროვნული პარკი – დაცული ტერიტორიების კატეგორია, იქმნება შედარებით დიდი, ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის ეკოსისტემების დასაცავად, სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისთვის;
12. ინვაზიური სახეობა – სხვა ტერიტორიაზე შეჭრილი – მისთვის არადამახასიათებელი სახეობა;
13. კონსერვაცია – ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, აღდგენა და გონივრული მართვა;
14. in-situ კონსერვაცია – ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია ბუნებრივ პირობებში;
15. ex-situ კონსერვაცია – ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია ხელოვნურ პირობებში, ძირითადად დაცული ტერიტორიების შემნის გზით;

16. კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმა – რომელიმე სახეობის დაცვაზე მიმართული პროცესების მართვის გეგმა;
17. ნაკრძალი – დაცული ტერიტორიების კატეგორია, რომლის მიზანია ბუნების მკაცრი დაცვა, ნაკრძალის ტერიტორიაზე დაშვებულია მხოლოდ ბუნებაზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და გარემოს მონიტორინგის საქმიანობა;
18. რესტორაცია – გარეულ ცხოველთა სახეობების ბუნებაში აღდგენის ღონისძიება, გარეული ცხოველის შეყვანა მისი გავრცელების ისტორიულ არეალში სადაც შემორჩენილია ამ სახეობის ძალზედ მცირერიცხოვანი პოპულაცია;
19. საფრთხეში მყოფი სახეობა – გარეულ ცხოველთა ან ველურ მცენარეთა სახეობა, რომლის რაოდენობის და გავრცელების არეალის შემცირება, საარსებო პირობების გაუარესება ან სხვა გარემოებები მიუთითებს მისი დაცვის და აღდგენის ზომების აუცილებლობაზე;
20. „წითელი ნუსხა“ – გარკვეულ ტერიტორიაზე გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების ჩამონათვალი;
21. „წითელი წიგნი“ – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების სტატუსის, გავრცელების არეალის, ადგილსამყოფლის, რაოდენობის, გამრავლების ადგილებისა და პირობების, მათ დასაცავად მიღებული ზომებისა და დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიებების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შესახებ;
22. ჰაბიტატი – ეკოლოგიურად ერთგვაროვანი ტერიტორიის და/ან აკვატორიის მონაკვეთი, რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ სახეობის მცენარის ან ცხოველის ადგილსამყოფელს.

## დანართი 2

### ავტორები

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია „ასოციაცია ფლორა და ფაუნა“-ს მიერ, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ფონდ „ნაკრესი“-ის ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტის შედგენაში მონაწილეობას ღებულობდნენ:

არჩილ გუჩმაიძე – „ასოციაცია ფლორა და ფაუნა“, გამგეობის თავმჯდომარე;

თინათინ დავითაძე – „ასოციაცია ფლორა და ფაუნა“;

ნადია ესიმბაევა – „ასოციაცია ფლორა და ფაუნა“;

ზურაბ მანველიძე – ბათუმის ბოტანიკური ბაღი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

დავით ხარაზიშვილი – ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;

ნინო მემიაძე – ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;

იზოლდა მაჭუტაძე – ველური ბუნების დაცვის საზოგადოება „ჭაობი“, პრეზიდენტი;

თემურ გოგმაჩაძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი სრული პროფესორი;

შაქრო ფალავანდიშვილი

– ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი;

ვლადიმერ წულაძე – შპს ორაგულისებრთა აღწარმოების ცენტრი, დირექტორი.